პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 იანვარი, ოთხშაბათი, 1989 წ. № 8 (9925) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „დინამო" (თბილისი) — „ვერდერი" (ბრემენი)

## საქველმოქმედო მატჩი

**გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ბრემენის ცნობილმა, პროფესიულმა საფეხბურთო კლუბმა „ვერდერმა" კეთილშობილური სურვილი გამოავლინა, როცა სომხეთში მიწისძვრისგან დაზარალებულთა დასახმარებლად ამხანაგური საერთაშორისო მატჩის გამართვა განიზრახა. „ვერდერმა" თავის მეტოქედ თბილისის „დინამო" აირჩია და ამ მატჩის ჩასატარებლად საქართველოს დედაქალაქს ეწვია.

საქველმოქმედო მატჩი „ვერდერი" (ბრემენი) — „დინამო" (თბილისი) გუშინ გაიმართა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე. მაყურებლები გულთბილად მიესალმნენ დასავლეთგერმანელ ფეხბურთელებს, რომლებმაც თანაგრძნობის ხელი გამოუწოდეს მიწისძვრისგან დაზარალებულ სომეხ მოსახლეობას. მატჩის დაწყების წინ ფეხბურთელებმა და სტადიონზე მოსულმა მაყურებლებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს სომხეთში მიწისძვრისაგან დაღუპული ადამიანების ხსოვნას. დიქტორმა გამოაქვეყნა ერევნიდან მიღებული დეპეშის ტექსტი ბრემენის „ვერდერისა" და თბილისის „დინამოს" გუნდებისადმი.





გუნდებმა შემდეგი შემადგენლობით ითამაშეს: **„დინამო" (თბილისი): გაბელია (ხაპოვი, 46), კეტაშვილი (სვანაძე, 71), ცხადაძე, ჭედია, არზიანი, რევიშვილი (გ. ჯიშკარიანი, 78), აფციაური, მახარაძე (ქეცბაია, 46), ცაავა, ყაველაშვილი (ფანცულაია, 60), გოგიჩაიშვილი.**

**„ვერდერი" (ბრემენი): რეკი (როლმანი, 46), შააფი, ჰერმანი (ოტენი, 17, აილტსი, 76), კუცოპი, ბოროვკა, ვოლტერი, ვოტავა, ნოიბარტი, ბურგსმიულერი (სკოგჰაიმი, 46) ორდენევიცი.**



მატჩი ძალზე საინტერესოდ, მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა. როგორც თბილისელებს, ასევე ბრემენელ ფეხბურთელებს გოლის გატანის რამოდენიმე შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ კარგად ითამაშეს ორივე გუნდის დაცვის ხაზის მოთამაშეებმა და მეკარეებმა.

საბოლოოდ მატჩი დამთავრდა ფრედ, ანგარიშით 0:0.

# ჩვენ და შრომის დისციპლინა

ეს საკითხი მუდამ აქტუალური იყო, მაგრამ განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როცა შრომის სწორი ორგანიზაცია საქმისადმი თითოეული ჩვენგანის დამოკიდებულების შეცვლას, პასუხისმგებლობას და, რაც მთავარია, დისციპლინას მოითხოვს. საბოლოო ჯამში ეს ნიშნავს შრომის მაღალ კულტურას, ურომლისოდ გარდაქმნის პირობებში შეუძლებელია წინსვლა.

ფიზკულტურასა და სპორტში, ამ მართლაც მასობრივ სფეროში, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ ასრულებს თითოეული რგოლი, თითოეული მუშაკი დაკისრებულ მოვალეობას, არის თუ არა მისი აზრი და საქმე მოვლენების წინმსწრები. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ჩვენს სფეროში გამუდმებული ძიება და სიახლეთა თამამი დანერგვაა საჭირო. დღეს გასაკეთებელი თუ დღეს არ გაკეთდა, ეს უკუსვლას, ჩამორჩენას ნიშნავს. სამწუხაროდ, ჩვენს საქმიანობაში მიღწეულ გარკვეულ წარმატებებთან ერთად ჯერ კიდევ ბევრგან შეიმჩნევა ინერტულობა, რისგანაც, სხვათა შორის, არც სპორტსაკომის, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ქვედანაყოფები, ცალკეული სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების რგოლები არიან დაზღვეულნი. ეს აუცილებლად ანგარიშგასაწევი და გასათვალისწინებელია.

დადგა ახალი წელი და მთელს ჩვენს სფეროში შრომის დისციპლინის ამაღლებისა და განმტკიცების საკითხი კვლავ წამოიწია წინა პლანზე. ახლა მთავარია სიტყვიდან დაუყოვნებლივ გადავიდეთ კონკრეტულ საქმეზე, თითოეულ მუშაკს მოვთხოვოთ, მაღალკვალიფიციურ დონეზე ასრულებდეს თავის მოვალეობას, პრაქტიკულ მოღვაწეობაში უნდა განივთდეს ყველა დადგენილება თუ დავალება. იქ, სადაც მაღალია კომპეტენტურობა, სადაც მოვალეობისადმი ყოველდღიური დამოკიდებულება უწინარესად კონკრეტულ საქმეებში აისახება, პასუხისმგებლობაც იგრძნობა და დისციპლინაც, მაგრამ აქ არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს ხელმძღვანელის როლი, მისი პირადი მაგალითი, არა აქვს მნიშვნელობა იმას, რა რანგის ხელმძღვანელთან გვაქვს საქმე. ხელმძღვანელი იმის ხელმძღვანელია, რომ ის აგებს პასუხს თავის რგოლში წესსა და რიგზე, გამართულ მუშაობაზე, საქმისადმი თანამშრომელთა დამოკიდებულებაზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცალკეულ უბანზე დისციპლინა და პასუხისმგებლობა გავლენას ახდენს საერთო საქმიანობის მწყობრი სისტემის შექმნაზე, მის რიტმზე.

წელს არაერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა გვაქვს გადასაწყვეტი. ეს ეხება როგორც დიდ სპორტს, ისე მასობრივ-გამაჯანსაღებელ მუშაობას, მასების საქმიან დაინტერესებას ფიზიკური კულტურით. და ყველაფერი ეს, ვიმეორებთ, მთლიანად დამოკიდებულია თითოეული ჩვენგანის შრომის დისციპლინაზე. ეს ცნება აბსტრაქტულად არ უნდა დარჩეს.

მხოლოდ კონკრეტული საქმეებით უნდა ვიაროთ წინ.

## ქულათა მაქსიმუმით

**ოდესის** დასასვენებელ ბაზა „იუნოსტში" გრძელდება სსრ კავშირის პირველობა 1971 წელს და შემდეგ დაბადებულ მოჭადრაკე გოგონათა შორის. შეგახსენებთ, რომ პირველ სამ ადგილზე გასულნი და კადეტთა შორის სამი საუკეთესო მონაწილეობას მიიღებენ 16 და 18 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობების შესარჩევ ტურნირებში.

დღეისთვის სამი ტურის შეხვედრებია გათამაშებული. ქულათა მაქსიმუმით ლიდერობს სოფიკო ნიკოლაძე, მან დაამარცხა მოსკოველი შერსტნევა, ერევნელი მნაცაკანიანი და ლიტველი გურარუ. ნინო ხურციძეს 2,5 ქულა აქვს, დიანა დარჩიასა და ნატო ეძგვერაძეს — 2-2.

**თამარ ხუბაშვილი,**
**გიორგი მაჭარაშვილი.**
**(დეპეშით).**

## თბილისის „დინამოს" კლუბის პირველი კოლექტიური წევრები

ეს ცნობა გუშინ მივიღეთ ზესტაფონიდან. ფორაპანის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „მარსის" კოლექტივმა გადაწყვიტა ეს 1200-კაციანი დაწესებულება გახდეს თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის კოლექტიური წევრი. იგივე გადაწყვეტილება მიიღო ზესტაფონის ღვინის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების შრომითმა კოლექტივმა, სადაც 600 მუშა-მოსამსახურეა.

ზემოაღნიშნული ორგანიზაციები მზად არიან კოლექტიური საწევრო შენატანი კლუბს გადაურიცხონ ბანკში შესაბამისი ანგარიშის გახსნისთანავე.

ამავე დროს გაცნობებთ, რომ სახელმწიფო ბანკში თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის ანგარიშის ნომერი „ლელოში" ცალკე გამოქვეყნდება.

მაშ ასე, „დინამოს" საფეხბურთო კლუბის კოლექტიურ წევრთა სია გაიხსნა.

ვინ იქნება შემდეგი?

მსოფლიოს თასის ეტაპზე — საციგაო სპორტი

## ლევან თიბილოვისა და კახა ვახტანგიშვილის წარმატება

**გასული** წლის მიწურულში ვიუწყებოდით ჩვენი მოციგავეების — ბაკურიანელი სპორტსმენების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტების ლევან თიბილოვისა და კახა ვახტანგიშვილის წარმატებაზე ლატვიის ქალაქ სიგულდაში, სადაც მათ ევროპის იუნიორთა პირველობის საგზური მოიპოვეს.

და აი, ახალი წლის დასაწყისში კვლავ სასიხარულო ცნობა მივიღეთ — თიბილოვმა და ვახტანგიშვილმა (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი თამაზ ქუმარიტაშვილი) საუცხოოდ იასპარეზეს იუნიორთა შორის მსოფლიოს თასის გათამაშების ეტაპზე გფრ-ში. მათმა ორადგილიანმა ციგამ ყველაზე სწრაფად გაიარა რთული ტრასა.

ახლა ლევანი და კახა ოლიმპიურ ინსბრუკში იმყოფებიან საკავშირო შეკრებაზე (იგი 18 იანვრამდე გაგრძელდება). ამის შემდეგ იქვე, ავსტრიაში, გაიმართება იუნიორთა ევროპის პირველობა, რომლის სტარტზე სხვებთან ერთად ბაკურიანელთა წყვილიც გამოვა.

**„ლელოს" კორ.**





* * *

**სურათებზე: ლევან თიბილოვი და კახა ვახტანგიშვილი.**

„ლელოს" პასუხი

## საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის წინ

**რედაქციაში** შემოდის წერილები, რომლებშიც საქართველოს პირველობაში მონაწილე საფეხბურთო გუნდების ხელმძღვანელები, თვით ფეხბურთელები და გულშემატკივრები გვთხოვენ ვუპასუხოთ როდის დაიწყება 1989 წლის რესპუბლიკის ჩემპიონატი, არის თუ არა მოსალოდნელი ცვლილებები დებულებაში, როდის გამოქვეყნდება მატჩების კალენდარი.

ამასთან დაკავშირებით დღეს გთავაზობთ საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის დ. კვინიკაძის კომენტარს:

უახლოეს დღეებში გაიმართება ფეხბურთის სამმართველოს და სპორტტექნიკური კომისიის სხდომა, სადაც განიხილავენ და დაამტკიცებენ ჩემპიონატის კალენდარს. რაც შეეხება დებულებას, იგი უცვლელი რჩება. კალენდარი დამტკიცებისთანავე გამოქვეყნდება „ლელოში".

# ჩვენი ეროვნული სიამაყე

„ლელოს" 1988 წლის 27 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით „ქართული ჭიდაობა მსოფლიო არენაზეც გავა". ამ წერილმა ძალიან გამახარა და გამოხმაურების დიდი სურვილიც გამიჩინა.

„...იაპონიის, ინგლისის, ჰოლანდიის, ამერიკისა და სხვა ქვეყნების მოჭიდავეებს, რომლებსაც სხვადასხვა დროსა და პირობებში უნახავთ ქართულ ჭიდაობაში გამართული საჩვენებელი გამოსვლები, მოუსურვებიათ ფალავნობაზე ძალის გამოცდა და მომავალ შეჯიბ-



რებებში მონაწილეობის უფლებას ითხოვენ. ასეთივე სურვილი გამოთქვეს მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსმენებმა. თქმა არ უნდა, ეს უაღრესად საყურადღებო მოვლენაა, რაც ქართული ჭიდაობის აღიარებაზე მეტყველებს".

ეჭვი არ მეპარება, ამ ცნობამ ქართველ სპორტის მოყვარულთა შორის საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. არც ის მაეჭვებს, რომ ამ ამბავმა ქართული ჭიდაობის ჭეშმარიტი გულშემატკივრები სხვებზე მეტად გაახარა და სასიკეთოდ ააფორიაქა. ააფორიაქა იმიტომ, რომ ქართული ჭიდაობის ყადრის მცოდნეთა და დამფასებელთა აზრით, ქართველთა ფიზიკური კულტურის ეს გამორჩეული ნიმუშთაგანი დიდი ხანია იმსახურებდა საერთაშორისო აღიარებას. არა მგონია, ვინმემ თქვას, ეს მოსაზრება სუბიექტურიაო — ჭიდაობის სამყაროში ქართველ ფალავნებს კარგად იცნობენ, ისინი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობენ, გამოირჩევიან საკუთარი ხელწერით და ილეთების მდიდარ არსენალს ფლობენ. საქმეში ჩახედულ უცხოელ სპეციალისტებს ეს გარემოება რას გამოეპარებოდათ, ცხადია, იმასაც მშვენივრად მიხვდებოდნენ, რა უმაგრებს ზურგს და მუხლს ქართველ ფალავნებს და აქ მოიწადინეს კიდეც ქართულ ჭიდაობაში ძალის გამოცდა. თუმცა, ჩემი აზრით, მარტო „ძალის გამოცდა" არ უნდა იყოს მათი მიზანი — უცხოელები, მოგეხსენებათ, ჩვენზე პრაქტიკული ხალხია, ქართველ ფალავანთა და ქართული ჭიდაობისადმი პატივისცემის გამოხატვის გარდა, მათი ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი, ალბათ, ისიც გახლავთ, რომ სურთ უფრო ახლო გაიცნონ, „ამოხსნან", გაითავისონ ქართული ჭიდაობა, ის „საიდუმლო იარაღი", რომლის ძალა ბევრ მათგანს თავის თავზე გამოუცდია.

იმის დასადასტურებლად თუ როგორ და რატომ აინტერესებთ უცხოებს ქართული ჭიდაობა, მე ერთ ამბავს გავიხსენებ.

ყველაზე პოპულარული და პრესტიჟული ჭიდაობის ოლიმპიური სახეობის — ძიუდოს უცხოელი წარმომადგენლები „მუშტრის თვალით" რომ უყურებდნენ ბევრ ქართულ ილეთს, ეს კარგად ვიცოდი, მაგრამ...

ყველას გვახსოვს, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ჩვენს ქვეყანაში კარატეს ბუმი იყო. საქართველოს ნაკრების ყოფილ წევრებს და მათ მწვრთნელებს ეხსომებათ, რომ ბევრ ნიჭიერ და პერსპექტიულ საბჭოთა კარატისტს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ქართველი სპორტსმენებისადმი. როგორც შემდეგ გაირკვა, მიზეზი აქაც ქართული ჭიდაობა ყოფილა.

ერთ-ერთ ბოლო ოფიციალურ საკავშირო ჩემპიონატზე, რომელიც ვოლგოგრადში ჩატარდა, დავუახლოვდი კარატისტთა ერთ ჯგუფს, რომელთაც „კორეელებს" ეძახდნენ (რა თქმა უნდა, ისინი საბჭოთა კავშირში დაბადებულ-გაზრდილები იყვნენ). მალე გავიცანი კიდეც რამდენიმე მათგანი — ვ. პაკი, ე. ლი, კ. იუგაი, ა. კიმი და სხვები. აღმოსავლურად სიტყვაძუნწი, მაგრამ საკმაოდ გულთბილი ბიჭები გამოდგნენ. უმეტესობა კარატეს კორეული სკოლის „ვანგ ხუს" წარმომადგენლები იყვნენ. ერთხელ მათ ვარჯიშს დავესწარი და ძალიან გამაკვირვა ა. კიმის ორთაბრძოლამ — იგი ძალიან ხშირად ასრულებდა ნაცნობ გდებებს. შესვენებისას მითხრა, ქართული ჭიდაობიდანაა, მამაჩემმა „ვანგ ხუს" ილეთებთან ერთად მასწავლაო. მამამისი თურმე მოიჯარე ყოფილა, ხახვი და ნესვი მოჰყავდა და ათი წლის განმავლობაში ქართლსა და კახეთში უმუშავია სეზონურად. ქართული ჭიდაობა იქ უნახავს, კარგადაც შეუსწავლია და წამოზრდილი შვილებისთვის როგორც საბრძოლო ხელოვნება, ისე უსწავლებია. ა. კიმმა მაჩვენა კიდეც როგორ იყენებდა სარმას, შუაკაურს, მოგვერდს და სხვა გდებებს კარატეს სხვადასხვა ილეთებთან ერთად. სიმართლე გითხრათ, მანამდე არასოდეს მიფიქრია ქართულ ჭიდაობაზე, როგორც ბრძოლის ხელოვნებაზე. არადა, საკმარისია, ერთხელ ნახო ან უბრალოდ წარმოიდგინო თუ როგორ შეიძლება გამოიყენო ქართული ჭიდაობის ილეთები ხელჩართულ ბრძოლაში, ე. ი. მოიგერიო დარტყმები გვერდიდან, ზემოდან და წინიდან, რომ უმალ დარწმუნდები მის საბრძოლო-საწვრთნელ მნიშვნელობაში, იმაში, რომ იგი ბრძოლაზეც იყო „გათვლილი".

ამ ამბავში ახალი და მოულოდნელი, რა თქმა უნდა, არაფერია. ზემოთქმულს გავიმეორებ — ვინც ქართულ ჭიდაობას საფუძვლიანად იცნობს, ვისაც მისი არსი გონების თვალით „გაუზომავს", მას არ გაუკვირდება ქართული ჭიდაობის არც ამგვარი „ინტერპრეტაცია" და არც საერთაშორისო აღიარება. საკვირველი სხვა რამ გახლავთ, კერძოდ, ჩვენი პოზიცია, ჩვენი დამოკიდებულება ქართველთა „ეროვნული სხეულის" გამწვრთნელ ამ მრავალსაუკუნოვანი ფენომენისადმი. განა გვეპატიება, რომ სპორტის ოლიმპიურ სახეობებს დაუფიქრებლად ვანაცვალეთ ჩვენი ხალხის წიაღში ჩასახული ხერხიანობის, გონიერების, სიმამაცისა და ღონის ეს სინთეზი, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორულ ჩარჩოებში ჩავკეტეთ, დროის დინებას ხელშეუშველებლად მივაგდეთ და ჩვენს ახალგაზრდობას ყველაზე ღვიძლი, „გენეტიკური" სპორტის სახეობის მადლი მოვაკელით. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ქართული ჭიდაობა, ქართული, რაინდული ზნეობის გამოხატულებაცაა, მის წიაღში უხვადაა ზნეობის ის ელემენტები, ურომლისობასაც ასე განვიცდით დღეს, ურომლისობამაც ასე „გაადედისზიჭოვა", გაანარცისა და გაანარკომანა კიდეც მრავალი ახალგაზრდა.

ამიტომ, მოდით, უცხოელთა აღიარებას ნუ დაველოდებით, ჩვენი გასაკეთებელი ჩვენვე და, რაც მთავარია, დროულად ვაკეთოთ. რატომ არ შეიძლება, მაგალითად, ქართული ჭიდაობა ქართულ სკოლებში დავნერგოთ, კვირაში ერთი ფიზკულტურის გაკვეთილი მაინც დავუთმოთ. ინიციატივისა და საჯაროობის დღევანდელ პირობებში რესპუბლიკის სპორტსახკომისა და სახალხო განათლების სამინისტროს შეთანხმება შეუძლებელი არ უნდა იყოს; თუ რაიმე მაინც დაგვაბრკოლებს, საკავშირო ორგანოების შეწუხებასაც ნუ მოვერიდებით.

ერთი სიტყვით, ქართული ჭიდაობის საერთაშორისო აღიარება ძალზე სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ, ჩემი აზრით, მთავარი მაინც ის არის, ჩვენ როგორ ვუპატრონებთ მას. თუ სხვათა ყურადღება გამოგვაფხიზლებს, ქართული ჭიდაობის განვითარების საქმეში შეგვეშველება, ხომ კარგი, თუ არადა, დახანებაც არ შეიძლება — ამ საქმის დროულად დაძვრა ჩვენს ახალგაზრდებს დიდ სიკეთეს მოუტანს.

**ზაალ კასრელიშვილი.**

# ნესრიგის დამცველი... ნესრიგის დამრღვევი

**ასეც ხდება...**

**ყვარლის** კომუნალური სამოცბინიანი კორპუსების მცხოვრებთ ერთი სპორტული ბაზა — კალათბურთის მოედანი და ნახერხმოყრილი საჭიდაო წრე — ჰქონდათ. დიახ, ჰქონდათ, რადგან წელიწადზე მეტია, რაც იგი მოსახლეობას არად არგია. სარგებლობას ვინლა ჩივის, ეს მოედანი დღეს ანტისანიტარიის კერადაა ქცეული და ადამიანთა ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

საქმე ისაა, რომ მეზობლად მცხოვრებმა ზაქრო ბუთიაშვილმა თვითნებურად, ყოველგვარი წესის დაცვის გარეშე, ზედ მოედნის განაპირას მოაწყო საკანალიზაციო ორმო, საიდანაც სიბინძურე პირდაპირ სპორტულ ბაზაზე გადის, ჰკვეთს კალათბურთის მოედანს და საჭიდაო წრეში ჩაედინება. ვითომ მდგომარეობის გამოსასწორებლად ბუთიაშვილმა ახლა მოედნის ასფალტის საფარიც გადათხარა.

ყოველივე ამას „ლელოს" რედაქციის სახელზე შემოსული ყვარლელი ახალგაზრდების ჯგუფის წერილი გვატყობინებდა.

ადგილზე შემოწმებით ზემოთქმული დადასტურდა. ფაქტი მით უფრო აღმაშფოთებელია, რომ ყველაფრის მიზეზი გახლავთ მილიციის მუშაკი, მაიორი ზაქრო ბუთიაშვილი, კაცი, რომლისთვისაც წესრიგის დაცვა პირდაპირი, სამსახურებრივი მოვალეობაა.

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

ზაქრო ბუთიაშვილს ოფიციალურად არაერთხელ მოუწოდეს წესრიგისაკენ როგორც კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობამ, ასევე ქინძმარაულის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ (ბინა, რომელშიც ბუთიაშვილი ცხოვრობს, ქინძმარაულის საბჭოთა მეურნეობას ეკუთვნის), მაგრამ... ბუთიაშვილი „მე ვარ და ჩემი ნაბადის" პოზიციაზე დგას.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ქინძმარაულის საბჭოთა მეურნეობის კუთვნილ რვაბინიან საცხოვრებელ კორპუსში არც ერთი სანიტარული წერტილი არ არის, რაც მის ბინადართ დიდ უხერხულობას უქმნის.

გაუგებარია კომუნალური ბინების მცხოვრებთა პოზიცია — ისინი სხვას უკიჟინებენ სპორტული მოედნის ხელყოფას და თავად იგივე დანაშაულს სჩადიან — მათ მიერ მოედნის სიახლოვეს მოწყობილი საქათმეები და საღორეები ასევე ანტისანიტარიის კერას წარმოადგენს.

როგორც ჩანს, საქმეს რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების ჩარევის გარეშე არაფერი ეშველება. პასუხსაც მათგან ველით.

**ალექსანდრე პაპოშვილი,**
**„ლელოს" საკ. კორ.**

ყვარელი.

# ფეხბ

**დადგა ახალი წელი, ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით მოელის 1989 წლის საფეხბურთო სეზონს, ამასთან დაკავშირებით „ლელოში" ხშირად მოდის ფეხბურთის მოყვარულთ წერილები, გვეკითხებიან რა ცვლილებებია მოსალოდნელი ჩვენს ფეხბურთში წლეულს ახალი საფეხბურთო კავშირის შექმნასთან დაკავშირებით.**

**ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი დაუკავშირდა სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველოს, ამ საუბრის შემდეგ საშუალება გვაქვს ზოგიერთი რამ ვაუწყოთ გულშემატკივრებს.**

**ჯერ** კიდევ შარშან გაისმოდა ხმები, რომ უმაღლეს ლიგაში მოსალოდნელია ცვლილებები, კერძოდ, ლაპარაკი იყო იმაზე, რომ გაიზრდება ლიგის მონაწილეთა რაოდენობა.

ეს ხმები სინამდვილეს არ შეეფერება, 1989 წელსაც და მომავალი ოლიმპიური ციკლის წლებშიც (1989-92 წლები) საბჭოთა ფეხბურთის უმაღლეს ლიგაში უნდა დარჩეს 16 გუნდი. არ შეიცვლება I ლიგის გუნდების რაოდენობაც (22).

1989 წელს გაიმართება სსრ კავშირის მორიგი, რიგით 52-ე საკავშირო ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის. შარშან დაკავებული ადგილების მიხედვით ახალ ჩემპიონატში გამოვლენ: „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი), „დინამო" (კიევი), „ტორპედო" (მოსკოვი), „სპარტაკი" (მოსკოვი), „ჟალგირისი" (ვილნიუსი), „ზენიტი" (ლენინგრადი), „ლოკომოტივი" (მოსკოვი), „შახტიორი" (დონეცკი), „არარატი" (ერევანი), „დინამო" (მოსკოვი), „მეტალისტი" (ხარკოვი), „დინამო" (მინსკი), „ჩერნომორეცი" (ოდესა), „დინამო" (თბილისი). ბაქოს „ნეფთჩისა" და ალმა-ათის „კაირატის" ნაცვლად ლიგას შეემატება შარშან I ლიგაში გამარჯვებული ორი გუნდი: „პამირი" (დუშანბე) და „როტორი" (ვოლგოგრადი).

I ლიგის საკავშირო გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ: „ნეფთჩი" (ბაქო), „კაირატი" (ალმაათა), ცსკა, „გურია" (ლანჩხუთი), „ფახთაქორი" (ტაშკენტი), „დინამო" (სტავროპოლი), ასკ „კარპატი" (ლვოვი), „დაუგავა" (რიგა), ასკ (დონის როსტოვი), „როსტსელმაში" (დონის როსტოვი), „შინიკი" (იაროსლავლი), „გეოლოგი" (ტიუმენი), „სპარტაკი" (ნალჩიკი), „ტავრია" (სიმფეროპოლი), „კუზბასი" (კემეროვო), „დინამო" (ბათუმი), „მეტალურგი" (ზაპოროჟიე), „კოტაიკი" (აბოვიანი), „ყუბანი" (კრასნოდარი), „ტორპედო" (ქუთაი[სი]) „ნისტრუ" (კიშინიოვი), „ფაკელ[ი]" (ვორონეჟი).

ზოგიერთი ცვლილება მოხ[...] II ლიგაში, თუმცა ზონათა რ[...] დენობა ჯერჯერობით აქაც უც[...] ლი დარჩა — 9. ამ ზონების გ[...] მაშებებში მონაწილეობას მიი[...] 169 გუნდი, ზონებში გამარჯვე[...] ლნი სეზონის დასასრულს იბრ[...] ლებენ პირველი ლიგის 3 საგ[...] რისთვის.

მეორე ლიგის რეფორმა ნავა[...] დევია 1990 წლიდან. ლიგაში [...] ჩება 66 საუკეთესო გუნდი, [...] ლებიც გამოვლინდებიან [...] წლის შეჯიბრებათა შედეგების [...] ხედვით, მერე შეიქმნება 3 ზ[...] ევროპის, სამხრეთ-დასავლეთის [...] აღმოსავლეთის, ამ ახალი ზონ[...] გამარჯვებულები უშუალოდ მ[...] ბენ I ლიგაში თამაშის უფლ[...] ახლანდელი II ლიგის დანარ[...] გუნდები კი ითამაშებენ რეს[...] ლიკურ ზონებში.

**წლევანდელი სეზონის მნიშ[...] ოვანი სიახლეა ის, რომ უმაღ[...] და პირველ ლიგებში გაუქმ[...] ფრედ დამთავრებული მატჩ[...] ლიმიტი, რომელიც ბოლო 11 [...] იყო ჩვენში დაკანონებული. გ[...] ამისა, ფეხბურთის საერთაშორ[...] ფედერაციისა და ევროპის [...] ბურთის ასოციაციათა კავშ[...] რეკომენდაციით სსრ კავშირის [...] ხბურთის ფედერაციამაც მიიღ[...] დაწყვეტილება, რომ ამ ფედ[...] ციების ეგიდით ჩატარებულ [...]**



## სსრ კავშირს

### გათამაშების კალენდ

**I ტური**
**11 მარტი, შაბათი**
„პამირი" (დუშანბე) — „როტორი" (ვოლგოგრადი)
„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „მეტალისტი" (ხარკოვი)
„ჩერნომორეცი" (ოდესა) — „ტორპედო" (მოსკოვი)
„სპარტაკი" (მოსკოვი) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი)
„შახტიორი" (დონეცკი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)
„არარატი" (ერევანი) — „დინამო" (მინსკი)
**„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი)**
**13 მარტი, კვირა**
„დინამო" (მოსკოვი) — „ზენიტი" (ლენინგრადი)
**II ტური**
**17 მარტი, პარასკევი**
„სპარტაკი" — „დინამო" მნ.
„დნეპრი" — „ზენიტი"
**18 მარტი, შაბათი**
„დინამო" მ. — „მეტალისტი"
„პამირი" — „ტორპედო"
„ჩერნომორეცი" — „როტორი"
„შახტიორი" — „ჟალგირისი"
„არარატი" — „დინამო" კ.
**„დინამო" თბ. — „ლოკომოტივი"**
**III ტური**
**24 მარტი, პარასკევი**
„ზენიტი" — „შახტიორი"
**26 მარტი, კვირა**
„ჟალგირისი" — „პამირი"
„დინამო" კ. — „დნეპრი"
„დინამო" მნ. — „დინამო" მ.
„ტორპედო" — „სპარტაკი"
**„როტორი" — „დინამო" თბ.**
„მეტალისტი" — „არარატი"
**27 მარტი, ორშაბათი**
„ლოკომოტივი" — „ჩერნომორეცი"
**IV ტური**
**30 მარტი, ხუთშაბათი**
„ჟალგირისი" — „დინამო" მ.
„დინამო" კ. — „ჩერნომორეცი"
„დინამო" მნ. — „პამირი"
**„ტორპედო" — „დინამო" თ[ბ.]**
„როტორი" — „სპარტაკი"
„მეტალისტი" — „შახტიორი"
**31 მარტი, პარასკევი**
„ლოკომოტივი" — „დნეპრი"
**1 აპრილი, შაბათი**
„ზენიტი" — „არარატი"
**V ტური**
**4 აპრილი, ხამშაბათი**
„სპარტაკი" — „ზენიტი"
**5 აპრილი, ოთხშაბათი**
„დინამო" მ. — „ლოკომოტ[ივი]"
„პამირი" — „დინამო" კ.
„დნეპრი" — „ჟალგირისი"
„ჩერნომორეცი" — „დინამო"
„შახტიორი" — „ტორპედო"
„არარატი" — „როტორი"
**„დინამო" თბ. — „მეტალისტ[ი]"**
**VI ტური**
**8 აპრილი, შაბათი**
„სპარტაკი" — „მეტალისტი"
**9 აპრილი, კვირა**
„დინამო" მ. — „დინამო" კ.
„პამირი" — „ლოკომოტივი"
„დნეპრი" — „დინამო" მნ.
„ჩერნომორეცი" — „ჟალგი[რისი]"
„შახტიორი" — „როტორი"
„არარატი" — „ტორპედო"
**„დინამო" თბ. — „ზენიტი"**
**VII ტური**
**14 აპრილი, პარასკევი**
„ტორპედო" — „დნეპრი"
**15 აპრილი, შაბათი**
„ლოკომოტივი" — „არარა[ტი]"
**„ჟალგირისი" — „დინამო"**
„დინამო" კ. — „სპარტაკი"
„დინამო" მნ. — „შახტიორი"
„როტორი" — „დინამო" მ.
„ზენიტი" — „პამირი"
„მეტალისტი" — „ჩერნომორ[ეცი]"
**VIII ტური**
**18 აპრილი, ხამშაბათი**
„ტორპედო" — „დინამო" მ.
**19 აპრილი, ოთხშაბათი**
„ლოკომოტივი" — „სპარტა[კი]"
„ჟალგირისი" — „არარატი"
„დინამო" კ. — „შახტიორი"

# ...ერთი-89

**...ციალურ მატჩებში ფეხბურთელებს ეკრძალებათ დამცველი წვივსაფარების გარეშე თამაში. ეს პუნქტი საგანგებოდ შეიტანეს 1989 წლის საკავშირო გათამაშებათა დებულებაში.**

ბოლო წლებში იმართება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშება უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის. ამ შეჯიბრებას მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავს, სპეციალისტები და ფეხბურთის მოყვარულებიც სამართლიან მოსაზრებას გამოთქვამენ, რომ შეჯიბრება ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, იმ კრიტერიუმებს, რისთვისაც იგი დაწესებულია, მაგრამ ისიც არ შეიძლება უარვყოთ, რომ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშებას გარკვეული დადებითი მხარეებიც აქვს, კერძოდ, უმაღლესი ლიგის გუნდებს იგი საშუალებას აძლევს ოპტიმალურად შეავსონ ჩემპიონატის კალენდარში დარჩენილი თავისუფალი დრო, შეამოწმონ თავიანთი რეზერვები. ამიტომაც 1989 წლის საკავშირო საფეხბურთო კალენდარში კვლავ შეტანილია ფედერაციის თასის გათამაშება უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის, კვლავ გაიმართება I ლიგის თასის გათამაშებაც.

**სპეციალისტები პრესაში მოსაზრებას გამოთქვამდნენ, რომ ფედერაციის თასის გათამაშების ავტორიტეტისა და პრესტიჟის ამაღლებისათვის ურიგო არ იქნებოდა თუ ფედერაციის თასის გათამაშებაში გამარჯვებულს მიენიჭებოდა უეფა-ს თასზე მონაწილეობის უფლება. რა თქმა უნდა, ეს აამაღლებდა ფედერაციის თასის ტურნირის მნიშვნელობას და გუნდებს დამატებით სტიმულს შეუქმნიდა საბრძოლველად.**

**მაგრამ საქმე ისაა, რომ ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირს ამ საკითხზე თავისი საგანგებო პოზიცია უჭირავს. მან ყველა თავის წევრ ქვეყანას აუკრძალა ევროპის სამივე საკლუბო თასის გათამაშებაში გამოიყვანონ სხვადასხვა რეგიონალურ ტურნირებში გამარჯვებულები. უეფა-ს დებულებით ამ ტურნირებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატებისა და თასების გამარჯვებულებსა და პრიზიორებს, ამით უეფა ხაზს უსვამს ევროპის საკლუბო ტურნირების მნიშვნელობას, რაც სავსებით გასაგები და ლოგიკური ამბავია.**

სსრ კავშირის პირველი ნაკრები გუნდის მზადებისა და შეჯიბრებებში გამოსვლის გეგმა განპირობებულია მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების კალენდრით. მსოფლიოს XIV საფეხბურთო ჩემპიონატი ახლა საყოველთაო ყურადღების ცენტრშია, ფინალში მოსახვედრად ჩვენს გუნდს დაძაბული ბრძოლა მოელის. სსრ კავშირის ნაკრები თებერვალში სამკვირიან შეკრებას გაივლის იტალიაში, შემდეგ გაიმართება ამხანაგური საერთაშორისო მატჩები, აპრილსა და მაისში კი ჩვენი ნაკრები ოფიციალურ შესარჩევ მატჩებში შეხვდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, თურქეთისა და ისლანდიის გუნდებს.

რაც შეეხება სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებს, ასეთი გუნდი ამჟამად, უბრალოდ, არ არსებობს. მომავალი ოლიმპიური ნაკრების ძირითად საფუძველს შეადგენენ ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა ახლანდელი ნაკრების მოთამაშეები, მით უმეტეს, რომ სულ მალე მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ ჭაბუკ ფეხბურთელთა (18-19 წლისანი) მსოფლიო ჩემპიონატში. ეს შეჯიბრება 16 თებერვლიდან 3 მარტამდე ჩატარდება საუდის არაბეთში.

უყურადღებოდ არ დარჩება ქალთა ფეხბურთიც. ბოლო ხანებში ჩვენში რამდენიმე შეჯიბრება გაიმართა, მაგრამ საერთაშორისო სარბიელზე ქალთა ფეხბურთი სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს, ჩვენშიც გარკვეულ ინტერესს იჩენენ ქალთა ფეხბურთისადმი. ამ საქმეში არ შეიძლება ჩამორჩენა, მით უმეტეს, რომ უკვე მოეწყო ფეხბურთელ ქალთა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები. სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთელ ქალთა შორის ჯერ კიდევ არ არის გეგმაში შეტანილი და ის ერთჯერადი, ნაკლები მნიშვნელობის შეჯიბრებები, რომლებიც ჩვენს სხვადასხვა ქალაქში იმართება პერიოდულად, ქალთა ფეხბურთის სისტემატიზაციის საშუალებას არ გვაძლევს. ეტყობა, საფეხბურთო კავშირმა, რომელიც უახლოეს ხანებში შეიქმნება, საგანგებო ყურადღება უნდა მიაქციოს ქალთა ფეხბურთს.

# ...ს ჩემპიონატი

**● უმაღლესი ლიგა, I წრე**

„დინამო“ მნ. — „დინამო“ თბ.
„როტორი“ — „დნეპრი“
„ზენიტი“ — „ჩერნომორეცი“
„მეტალისტი“ — „პამირი“
**29 აპრილი, შაბათი**
„როტორი“ — „ზენიტი“ (მე-10 ტურის მატჩი)
**IX ტური**
**2 მაისი, სამშაბათი**
„პამირი“ — „ჩერნომორეცი“
„ლოკომოტივი“ — „ჟალგირისი“
**3 მაისი, ოთხშაბათი**
„ტორპედო“ — „როტორი“
„მეტალისტი“ — „ზენიტი“
„დნეპრი“ — „დინამო“ მ.
„დინამო“ მნ. — „დინამო“ კ.
**„დინამო“ თბ. — „შახტიორი“**
**4 მაისი, ხუთშაბათი**
„სპარტაკი“ — „არარატი“
**X ტური**
**13 მაისი, შაბათი**
„დინამო“ მ. — „პამირი“
**14 მაისი, კვირა**
„ჩერნომორეცი“ — „დნეპრი“
„დინამო“ კ. — „ლოკომოტივი“
„დინამო“ მნ. — „ჟალგირისი“
„ტორპედო“ — „მეტალისტი“
„შახტიორი“ — „სპარტაკი“
**„არარატი“ — „დინამო“ თბ.**
**19 მაისი, პარასკევი**
„ზენიტი“ — „ჟალგირისი“ (მე-13 ტურის მატჩი)
**XI ტური**
**23 მაისი, სამშაბათი**
„დინამო“ მ. — „ჩერნომორეცი“
**24 მაისი, ოთხშაბათი**
„პამირი“ — „დნეპრი“
„ლოკომოტივი“ — „დინამო“ მნ.
„ჟალგირისი“ — „დინამო“ კ.
„ზენიტი“ — „ტორპედო“
„არარატი“ — „შახტიორი“
„დინამო“ თბ. — „სპარტაკი“
**XII ტური**
**4 ივნისი, კვირა**
„სპარტაკი“ — „პამირი“
**5 ივნისი, ორშაბათი**
„დნეპრი“ — „შახტიორი“
**„ჩერნომორეცი“ — „დინამო“ თბ.**
„ტორპედო“ — „ლოკომოტივი“
„როტორი“ — „დინამო“ კ.
„ზენიტი“ — „დინამო“ მნ.
„მეტალისტი“ — „ჟალგირისი“
**6 ივნისი, სამშაბათი**
„დინამო“ მ. — „არარატი“
**XIII ტური**
**9 ივნისი, პარასკევი**
**„პამირი“ — „დინამო“ თბ.**
„დნეპრი“ — „სპარტაკი“
„ჩერნომორეცი“ — „არარატი“
„ტორპედო“ — „დინამო“ კ.
„როტორი“ — „ლოკომოტივი“
„მეტალისტი“ — „დინამო“ მნ.
**10 ივნისი, შაბათი**
„დინამო“ მ. — „შახტიორი“
**XIV ტური**
**14 ივნისი, ოთხშაბათი**
„ლოკომოტივი“ — „მეტალისტი“
**15 ივნისი, ხუთშაბათი**
„ჟალგირისი“ — „როტორი“
„დინამო“ კ. — „ზენიტი“
„დინამო“ მნ. — „ტორპედო“
„სპარტაკი“ — „ჩერნომორეცი“
„შახტიორი“ — „პამირი“
„არარატი“ — „დნეპრი“
**„დინამო“ თბ. — „დინამო“ მ.**
**XV ტური**
**19 ივნისი, ორშაბათი**
„ჟალგირისი“ — „ტორპედო“
„დინამო“ კ. — „მეტალისტი“
„დინამო“ მნ. — „როტორი“
„სპარტაკი“ — „დინამო“ მ.
„შახტიორი“ — „ჩერნომორეცი“
„არარატი“ — „პამირი“
**„დინამო“ თბ. — „დნეპრი“**
**20 ივნისი, სამშაბათი**
„ლოკომოტივი“ — „ზენიტი“
**24 ივნისი, შაბათი**
**სარეზერვო დღე**
„მეტალისტი“ — „როტორი“ (მე-11 ტურის მატჩი)
„ჟალგირისი“ — „ზენიტი“ (23-ე ტურის მატჩი)



## სსრ კავშირის ნაკრების ამხანაგური შეხვედრები

**სსრ კავშირის ნაკრებს წლეულს XIV მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური შესარჩევი მატჩები აქვს ჩასატარებელი. გარდა ამისა, დაგეგმილია ამხანაგური თამაშებიც.** 21 თებერვალს საბჭოთა კავშირის ნაკრები შეხვდება ბულგარეთის ეროვნულ გუნდს, 22 მარტს — ევროპის ჩემპიონს ჰოლანდიის ნაკრებს და 23 აგვისტოს — პოლონეთის ნაკრებს.

# სსრ კავშირის საფეხბურთო კავშირის თასის 1989 წლის გათამაშება

**I ტური**
**26 თებერვალი, კვირა**
„ტორპედო“ (მოსკოვი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)
„არარატი“ (ერევანი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი)
„დინამო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)
„ზენიტი“ (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)
„ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „შახტიორი“ (დონეცკი)
„მეტალისტი“ (ხარკოვი) — „დინამო“ (კიევი)
„პამირი“ (დუშანბე) — „დინამო“ (მინსკი)
**„ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „დინამო“ (თბილისი)**
**II ტური**
**3 მარტი, პარასკევი**
**„დინამო“ თბ. — „დინამო“ მნ.**
**4 მარტი, შაბათი**
„როტორი“ — „ტორპედო“
„ლოკომოტივი“ — „ზენიტი“
„დინამო“ კ. — „ჩერნომორეცი“
„პამირი“ — „ჟალგირისი“
**5 მარტი, კვირა**
„დნეპრი“ — „არარატი“
„დინამო“ მ. — „სპარტაკი“
„მეტალისტი“ — „შახტიორი“
**III ტური**
**21 მარტი, სამშაბათი**
„სპარტაკი“ — „ლოკომოტივი“
„ზენიტი“ — „დინამო“ მ.
„დინამო“ კ. — „შახტიორი“
**22 მარტი, ოთხშაბათი**
„დნეპრი“ — „როტორი“
„არარატი“ — „ტორპედო“
„ჩერნომორეცი“ — „მეტალისტი“
„დინამო“ მნ. — „ჟალგირისი“
**„დინამო“ თბ. — „პამირი“**
**IV ტური**
**23 აპრილი, კვირა**
„დნეპრი“ — „ტორპედო“
„როტორი“ — „არარატი“
„სპარტაკი“ — „ზენიტი“
„ჩერნომორეცი“ — „დინამო“ კ.
„შახტიორი“ — „მეტალისტი“
**„პამირი“ — „დინამო“ თბ.**
„ჟალგირისი“ — „დინამო“ მნ.
**24 აპრილი, ორშაბათი**
„ლოკომოტივი“ — „დინამო“ მნ.
**V ტური**
**7 მაისი, კვირა**
„ტორპედო“ — „არარატი“
„როტორი“ — „დნეპრი“
„ზენიტი“ — „ლოკომოტივი“
„დინამო“ კ. — „მეტალისტი“
„შახტიორი“ — „ჩერნომორეცი“
**„დინამო“ თბ. — „ჟალგირისი“**
**8 მაისი, ორშაბათი**
„სპარტაკი“ — „დინამო“ მ.
„დინამო“ მნ. — „პამირი“
**VI ტური**
**28 მაისი, კვირა**
„ტორპედო“ — „როტორი“
**29 მაისი, ორშაბათი**
„არარატი“ — „დნეპრი“
„ლოკომოტივი“ — „სპარტაკი“
„მეტალისტი“ — „ჩერნომორეცი“
„შახტიორი“ — „დინამო“ კ.
**„დინამო“ მნ. — „დინამო“ თბ.**
**30 მაისი, სამშაბათი**
„დინამო“ მ. — „ზენიტი“
„ჟალგირისი“ — „პამირი“



## მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი...

1988 წელს მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ევროპის III ჯგუფში გაიმართა 5 მატჩი. სადღეისოდ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 3 |
| გდრ | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 2 |
| ავსტრია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 2 |
| ისლანდია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| თურქეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |

წლეულს შესარჩევი მატჩები ყველა ჯგუფში უნდა დამთავრდეს. III ჯგუფის კალენდარი ასეთია:

**12 აპრილი.** გდრ — თურქეთი
**26 აპრილი. სსრ კავშირი — გდრ**
**10 მაისი. თურქეთი — სსრ კავშირი**
**17 მაისი.** გდრ — ავსტრია
**31 მაისი. სსრ კავშირი — ისლანდია**
**14 ივნისი.** ისლანდია — ავსტრია
**23 აგვისტო.** ავსტრია — ისლანდია
**6 სექტემბერი. ავსტრია — სსრ კავშირი,** ისლანდია — გდრ
**20 სექტემბერი.** ისლანდია — თურქეთი
**7 ოქტომბერი. გდრ — სსრ კავშირი**
**25 ოქტომბერი.** თურქეთი — ავსტრია
**8 ნოემბერი. სსრ კავშირი — თურქეთი**
**15 ნოემბერი.** ავსტრია — გდრ



# სსრ კავშირის თასის 1988-89 წლების გათამაშება

**მეოთხედფინალური მატჩები**
**29 აპრილი, შაბათი**

**„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი).**

„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — ბაქოს „ნეფთჩისა“ და მინსკის „დინამოს“ წყვილის გამარჯვებული.

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი).
„დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ (ქუთაისი).

**19 მაისი, პარასკევი**
**ნახევარფინალური მატჩები**

**25 ივნისი, კვირა**
**ფინალური მატჩი**

# სეზონის თასი

**1 მარტი**

**„დნეპრი“** (დნეპროპეტროვსკი, სსრ კავშირის ჩემპიონი) — **„მეტალისტი“** (ხარკოვი, სსრ კავშირის თასის მფლობელი).

# უეფა-ს საკლუბო ტურნირები

**ევროპის** ქვეყნების საკლუბო თასების 1989-90 წლების გათამაშებათა პირველი ეტაპის მატჩები გაიმართება 13 და 27 სექტემბერს, მეორე ეტაპისა — 18 ოქტომბერს და 1 ნოემბერს. უეფა-ს თასის მერვედფინალური მატჩები შედგება 22 ნოემბერს და 6 დეკემბერს.



# ტურნე დამთავრდა

**ბუფალო.** აშშ-ს ამ ქალაქში გამოსვლით მოსკოვის ცსკა-ს ჰოკეისტებმა დაამთავრეს ჩრდილოამერიკული ტურნე და ახლა შინ ბრუნდებიან. ბოლო შეხვედრაში ჩვენი სპორტსმენების მეტოქე იყო ნხლ-ის ლიგის გუნდი — „ბუფალო „სეიბრზი".

ანგარიში პირველი პერიოდის მე-8 წუთზე გახსნა ნემჩინოვმა, მაგრამ შვიდ წუთში მასპინძლებმა მეტოქის კარში ოთხი შაიბა გაიტანეს და ბუფალოს გუნდი დაწინაურდა 4:1. ტაიმის დამთავრებამდე ჩერნიხმა და კასატონოვმა სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს.

მეორე პერიოდი მოიგო ცსკა-მ (ბიკოვი) და ანგარიში გათანაბრდა. მესამე პერიოდში მეტოქეებმა კარის ბადე თითოჯერ შეარხიეს და ძირითადი დრო ფრედ — 5:5 დამთავრდა. დამატებითი პერიოდის მესამე წუთზე ამერიკელმა პროფესიონალებმა გადამწყვეტი შაიბა გაიტანეს და გაიმარჯვეს 6:5.

ცსკა-მ შვიდი მატჩი ჩაატარა ამ ტურნეში, ორი — პიტსბურგსა და ბუფალოში წააგო შესაბამისად 2:4 და 5:6, ერთი — „ედმონტონ ოილერზთან" ფრედ — 5:5 დაამთავრა და ოთხი მოიგო — „ნიუ-იორკ აილენდერზთან" (3:2), „ბოსტონ ბრიუინზთან" (5:4), „ნიუ-ჯერსი დევილზთან" (5:0) და „ჰარტფორდ უეილერზთან" (6:3).



# ფორმალურად და ფაქტობრივად

**მოსკოვი.** აქ გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ერთი მატჩი ადგილობრივ ცსკა-სა და ტალინის „კალევს" შორის. ამ გუნდების პირველ შეხვედრაში, როგორც ვიუწყებოდით, წარმატებას არმიელმა კალათბურთელებმა მიაღწიეს. ცსკა-მ მოიგო განმეორებითი მატჩიც 109:89 (52:37) და სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. ახლა მას და მოსკოვის „დინამოს" 28-28 ქულა აქვთ, მაგრამ არმიელებს ოთხი შეხვედრით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 იანვრისთვის

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 14 | 14 | 0 | 1421-1125 | 28 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 18 | 10 | 8 | 1808-1745 | 28 |
| ასკ (ალმა-ათა) | 16 | 11 | 5 | 1541-1489 | 27 |
| „სპარტაკი" (ლენინგრ.) | 18 | 6 | 12 | 1454-1551 | 24 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 18 | 6 | 12 | 1391-1527 | 24 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 12 | 11 | 1 | 1177-1054 | 23 |
| „კალევი" (ტალინი) | 16 | 7 | 9 | 1389-1391 | 23 |
| „დინამო" (თბილისი) | 16 | 6 | 10 | 1369-1444 | 22 |
| ვეფ (რიგა) | 20 | 2 | 18 | 1692-2013 | 22 |
| „სტატიბა" (ვილნიუსი) | 14 | 6 | 8 | 1287-1238 | 20 |
| რტი (მინსკი) | 14 | 6 | 8 | 1171-1197 | 20 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 8 | 7 | 1 | 800-731 | 15 |

გათამაშების სატურნირო ცხრილი გუნდების რეალურ შესაძლებლობებს სრულყოფილად ვერ ასახავს, ვინაიდან ზოგ კოლექტივს 20 მატჩი აქვს ჩატარებული, ზოგს კი მხოლოდ 8, სწორედ ამ მიზეზით ჩემპიონატის ერთ-ერთი პოტენციური ლიდერი კაუნასის „ჟალგირისი", რომელსაც მხოლოდ ერთი ქულა აქვს დაკარგული, ცხრილში ბოლო ადგილზე იმყოფება, მოსკოვის „დინამო" კი, რომელმაც 18 შეხვედრიდან რვა წააგო, ცსკა-სთან ერთად პირველ-მეორე ადგილებს იყოფს. ასეთ შემთხვევაში უფრო რეალურად გვეჩვენება გუნდების განლაგება სატურნირო ცხრილში დაკარგული ქულების მიხედვით, აი, მაშინ იგი სულ სხვაგვარ სახეს მიიღებს:

| | თ. | მ. | წ. |
|---|---|---|---|
| ცსკა | 14 | 14 | 0 |
| „ჟალგ." (კაუნ.) | 8 | 7 | 1 |
| „სტროიტ." (კიევი) | 12 | 11 | 1 |
| ასკ (ალმა-ათა) | 16 | 11 | 5 |
| „სტატ." (ვილნ.) | 14 | 6 | 8 |
| რტი (მინსკი) | 14 | 6 | 8 |
| „დინ." (მოსკ.) | 18 | 10 | 8 |
| „კალევი" (ტალ.) | 16 | 7 | 9 |
| „დინ." (თბ.) | 16 | 6 | 10 |
| „სპარტ." (ლენ.) | 18 | 6 | 12 |
| „შახტ." (დონ.) | 18 | 6 | 12 |
| ვეფ (რიგა) | 20 | 2 | 18 |

# თანაგრძნობის საფასური

**ოტავა.** კანადის მძლეოსნების ფედერაციამ ამ ქვეყნის [illegible] ლებს მარკ მაკკოისა და კორტინ ბრაუნს შესაბამისად ორი და ერთი წლით დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

მიზეზი? სპორტსმენებმა სეულის ოლიმპიადის დღეებში ბენ ჯონსონის დანაშაულის გამჟღავნების შემდეგ, უარი თქვეს 4X100 მ და 4X400 მ-ზე ესტაფეტებში მონაწილეობაზე. მაკკოისა და ბრაუნის განცხადებით ისინი მაშინ იმდენად აღელვებული და დაბნეული იყვნენ, რომ მთელი ძალით ვერ ისპარეზებდნენ და არ სურდათ გუნდი უხერხულ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ.

ფედერაციის წარმომადგენლის განმარტებით, დისკვალიფიკაცია ეხება მხოლოდ საერთაშორისო ტურნირებს. შინაურ შეჯიბრებებში კი მათ გამოსვლის უფლებას მისცემენ, როგორც კი სასჯელის ნახევარს მოიხდიან.

## ამერიკელთა გეგმები და პრიზები

**განთქმულმა** მძლეოსანმა ედვინ მოზესმა, თუმცა 33 წლისაა, გადაწყვიტა კვლავ განაგრძოს გამოსვლა სარბენ ბილიკზე კიდევ ორი წლის მანძილზე, თუმცა აცხადებს, რომ შემდეგ ოლიმპიურ თამაშებში უკვე ველარ შეძლებს მონაწილეობის მიღებას.

**ფლორენს** გრიფიტ-ჯოინერს მიენიჭა „ჯესი ოუენსის პრიზი", რომელიც ყოველწლიურად გადაეცემა აშშ-ს უძლიერეს მძლეოსანს.

სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა სპორტული ჟურნალისტების კონკურსში გაუსწრო ორ გამოჩენილ სპორტსმენს: თავის მეულს, ჯეკი ჯოინერ-კერსისა და კარლ ლუისს.

# იუდიტ პოლგარი კვლავ შესანიშნავია

**სენსაციას** სენსაცია მოსდევს— სულ რამდენიმე დღის წინ ინგლისის ქალაქ ჰასტინგსში დამთავრდა ტრადიციული ოსტატ მოჭადრაკე [illegible] ვაჟთა საშობაო ტურნირი, რომელ[illegible]იც ბრწყინვალე გამარჯვე[illegible] მიაღწია 12 წლის უნგრელმა გოგონამ იუდიტ პოლგარმა, რომელმაც გაისად მთავარ, დიდოსტატთა ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. შეგახსენებთ, იუდიტმა შარშანდელი წლის მიწურულს თავის დებთან — ჟუჟასა და სოფიასთან — და ილდიკო მადლთან ერთად ოლიმპიური ჩემპიონის სახელი მოიპოვა, ხოლო სულ ახლახან საუკეთესო რეიტინგის წყალობით იგი მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა სიას მოექცა სათავეში. დაგვეთანხმებით — მართლაც შესაშური შედეგებია.

რაც შეეხება იქვე, ჰასტინგსში დამთავრებულ დიდოსტატთა ტურნირს, აქ წარმატებას ერთდროულად ორმა მოჭადრაკემ მიაღწია — ინგლისელმა ნაიჯელ შორტმა და შვეიცარიელმა ვიქტორ კორჩნოიმ. მათ 6-6 ქულა მოაგროვეს (10-დან). გამარჯვებულებს ნახევარი ქულით ჩამორჩა შორტის თანამემამულე, მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირის ნახევარფინალისტი ჯონათან სპილმენი. 5 ქულით მეოთხე იყო მსოფლიოს ექსჩემპიონი ვასილი სმისლოვი.

## ინფორმაცია

**სტოკჰოლმი.** სერგეი ბუბკა და მისი მწვრთნელი ვიტალი პეტროვი შვეციის დედაქალაქში ჩაფრინდნენ. აქ ისინი გასინჯავენ სკანდინავიური ფირმის „ნორდიკის" ახალ ჭოკს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბუბკა ბოლო დროის შეჯიბრებებში მხოლოდ ამ ფირმის სპორტულ იარაღს იყენებს.

**ლენინგრადი.** სპორტული პრესის ადგილობრივმა ფედერაციამ დაასახელა ქალაქის საუკეთესო სპორტსმენები 1988 წლის სეზონის შედეგების მიხედვით. ამ სიაში შევიდნენ: ელენა შუშუნოვა (ტანვარჯიში), ვ. ეკიმოვი და დ. ნელიუბინი (ორივე — ველოსპორტი), ი. ნესტეროვი (ხელბურთი), დ. ვასილიევი (ბიატლონი), ე. ვალოვა, ო. ვასილიევი (ორივე — ფიგურისტი), ვ. ბუტი, ა. ვასილიევი, ვ. დიდუკი (სამივე — ნიჩბოსნობა), ე. დენდებეროვა (ცურვა) და ა. ნოვიკოვი (სამბო).

# ავტომრბოლები და ფირმები მზადებიან

„**ფორმულა-1**" კლასის ავტომრბოლთა მსოფლიოს 39-ე ჩემპიონატის დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ ასპარეზობის ყველა მონაწილე შეუდგა მომდევნო ჩემპიონატისათვის მზადებას. როგორც ცნობილია, მე-40 ჩემპიონატში ყველა ავტომობილი აღჭურვილი იქნება ატმოსფერული ანუ ტრადიციული ძრავებით.

„უილიამსმა" პირველმა გამოსცადა ასეთი ავტომობილი საფრანგეთში, „პოლ რიკარის" ტრასაზე. რიკარდო პატრეზემ, რომელიც ამ ფირმის ღირსებას იცავს, განაცხადა, რომ „უილიამს-რენო" პრიზიორთა სამეულში იქნება.

„მაკლარენი" „ჰონდას" ახალი ძრავის გამოსაცდელად გაემგზავრა ჯერ ინგლისში, შემდეგ კი იაპონიაში.

„სუზუკის" 5800-მეტრიან ტრასაზე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ალენ პროსტმა ერთი წრე გაიარა 1 წუთსა და 31,125 წამში (საშუალო სიჩქარე 199,111 კმ/სთ). ამავე ტრასაზე მეორე შედეგი აჩვენა ალესანდრო ნანინიმ, რომელიც მართავდა ახალ „ბენეტონ ფორდ 188"-ს (1 წუთი და 32,726 წამი). მესამე იყო მსოფლიოს 1988 წლის ჩემპიონი „ფორმულა 3000" კლასში, ბრაზილიელი რობერტო მორენო, რომელმაც „კოლონი ფორდის" ავტომობილით იგივე მანძილი 1 წუთსა და 33,807 წამში გაიარა.

სან-მარინოს „იმოლას" ტრასაზე „მაკლარენმა" მეორე საწვრთნელი შეკრება ჩაატარა. მსოფლიოს 1988 წლის ჩემპიონმა, ბრაზილიელმა აირტონ სენამ ერთი წრე გაიარა 1 წუთსა და 28,914 წამში (საშუალო სიჩქარე 203,062 კმ/სთ). მისმა თანაგუნდელმა ალენ პროსტმა, იგივე მანძილი 1 წუთსა და 29,529 წამში დაფარა. მესამე შედეგი აჩვენა ალესანდრო ნანინიმ — 1.29,866.

„უილიამს-რენოს" მეორე საწვრთნელ შეკრებაზე ამ ფირმის ავტომობილის გამოცდის სურვილი გამოთქვა ფრანგმა პილოტმა, „პროტოტიპის" კლასში მსოფლიოს 1988 წლის ვიცე-ჩემპიონმა ჟან-ლუი შლესერმა.

ცნობილი გახდა, რომ მომავალ წელს ჩემპიონატს უბრუნდება „ბრებემი", რომელიც „ეუროპრუნთან" ერთად ისპარეზებს. ამ გუნდების ორივე მენეჯერი, სახელგანთქმული ბერნი ეკლსტოუნი და ყოფილი ავტომრბოლი, 46 წლის შვეიცარიელი ვალტერ ბრუნი, მოლაპარაკებას აწარმოებენ რამოდენიმე პილოტთან. ბრუნს სურვილი აქვს მიიწვიოს დასავლეთგერმანელი იოაჰიმ ვინკელჰოკი, რომელიც „ფორმულა 3" კლასში მონაწილეობს. 1986 წელს მან დიდი წვლილი შეიტანა „პორშეს" გამარჯვებაში „პროტოტიპების" კლასში. მოსალოდნელია, აგრეთვე, იტალიელების მიქელე ალბორეტოს, სტეფანო მოდენას და შვეიცარიელი გრეგორ ფოიტეკის გამოსვლა ამ ფირმის ავტომობილებით. როგორც ხედავთ, „ბრებემ-ეუროპრუნი" პირველი გუნდია, რომელსაც წლევანდელ ჩემპიონატში ოთხი პილოტი ეყოლება.

**დავით ჩუბინიძე.**



# დეტროიტელები წინ მიიწევენ

უცხოური პრესის უკანასკნელი მონაცემების თანახმად, ნბა-ს ჩემპიონატში ასეთი მდგომარეობაა: **ატლანტიკის დივიზიონი:** „ნიუ-იორკ კნიქსი" (13 გამარჯვება), „ფილადელფია-76" (12), „ბოსტონ სელტიქსი" (9), „ნიუ-ჯერსი ნეთსი" (8), „ჩარლოტე" (5), „ვაშინგტონ ბულითსი" (4). **ცენტრალური დივიზიონი.** „დეტროიტ პისტონსი" (14), „კლივლენდ კავალიერსი" (13), „ატლანტა ჰოუქსი" (12), „ჩიკაგო ბულსი" (10), „მილუოკი ბაქსი" (9), „ინდიანა პეიზერსი" (4). **შუა დასავლეთის დივიზიონი:** „დენვერი ნაგითსი" (13), „უტაჰ ჯაზი" (13), „ჰიუსტონ როკეტსი" (12), „დალას მავერიქსი" (11), „სან-ანტონიო სპურსი" (6), მიამი (0). **წყნარი ოკეანის დივიზიონი:** „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" (15), „პორტლენდ თრეილ ბლეიზი" (11), „ფენიქს სანზი" (10), „სიეტლ სუპერსონიქსი" (9), „გოლდენ შტატ უორივორისი" (8), „ლოს-ანჯელეს კლიპერსი" (7), „საკრამენტო კინგსი" (3).

ამ ცხრილში გარკვეულ კომენტარს მოითხოვს ატლანტიკის ოკეანის დივიზიონში შექმნილი სიტუაცია. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ყველაზე უფრო ტიტულოვანი გუნდის „ბოსტონ სელტიქსის" მოკრძალებული სტარტი. ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ტრავმა მიიღო გუნდის სახელგანთქმულმა ლიდერმა ლარი ბერდმა. მან ზედიზედ რამდენიმე მატჩი გამოტოვა. მეორე მომენტი, რომელზეც შეიძლება შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება, ვაშინგტონელთა უხეირო სტარტია. როგორც ჩანს, „ატლანტა ჰოუქსში" მოუზეს მელოუნის გადასვლის შემდეგ „ვაშინგტონ ბულიტსმა" შესამჩნევად დათმო პოზიციები.

წინ მიიწევს კალათბურთის ეროვნული ასოციაციის შარშანდელი ჩემპიონატის ფინალისტი „დეტროიტ პისტონსი". განსაკუთრებით პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა დეტროიტელთა გამარჯვებას ატლანტაში. „ჰოუქსის" დამარცხება საკუთარ მოედანზე, რასაკვირველია, ბევრისთვის მოულოდნელი იყო და როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი" აღნიშნავს, ეს განპირობებული გახლდათ დაცვაში დეტროიტელთა ბრწყინვალე თამაშით. მათ შესძლეს მასპინძელთა ლიდერების რეჯი თეუსის, დომინიკ უილკინსისა და მოუზეს მელოუნის ნეიტრალიზება. დეტროიტელთა წარმატებას ხელი შეუწყო ჯო დუმარსის (24 ქულა) და მრავალნაცადი ადრიან დენტლის (16) კარგმა თამაშმა. საკუთარ მოედანზე ფილადელფიასთან დეტროიტელთა მოგებულ მატჩში თავი გამოიჩინა ისაია ტომასმა (37 ქულა). საკუთარ მოედანზე მეორე მარცხი განიცადა „ატლანტა ჰოუქსმა". ამჯერად მან „დენვერ ნაგითსთან" წააგო. დენვერის გამარჯვება ადამსის (35 ქულა) და გამობრძმედილი ენგლიშის (25) ბრწყინვალე თამაშით აიხსნება.

**მერაბ ჭალანდაძე.**

## „სპორტპროგნოზი"

**პირველი ტირაჟის შედეგები (31.XII-1.I)**

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" პირველი ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 31 დეკემბერსა და 1989 წლის 1 იანვარს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3.842.928 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (31) მოგებამ შეადგინა 1.859 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (961) — 119 მანეთი. 11 შედეგის გამოცნობისთვის (11.663) — 34 მანეთი.

პირველი ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 21 იანვრიდან 21 თებერვლის ჩათვლით.

• • •

**მეორე ტირაჟის შედეგები (7-8 იანვარი)**

1—2, 2—2, 3—1, 4—1, 5—1, 6—2, 7—X, 8—2, 9—1, 10—1, 11—X, 12—1, 13—X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

## „სპორტლოტო"

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, მეორე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 1 (კალათბურთი), 6 (ძიუდო), 16 (საცხენოსნო სპორტი), 21 (ცურვა), 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 29 (ხასტენდო სროლა).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 10 (წყალბურთი), 12 (ტანვარჯიში), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 28 (ტყვიის სროლა).

**რედაქტორი თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 68435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05688